საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4926/01
18/05/2021

4926-01-2-202105181759

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 28 აპრილის N7654 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდ. ნორიოსხევის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ნაპირსამაგრის საპროექტო ტერიტორია მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გარკვეულ ნაწილებს (ს/კ 81.10.15.071; 81.10.15.460; 81.10.15.074), რასთან დაკავშირებითაც სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და არსებული მიწის ნაკვეთის მფლობელებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფ. ნორიოში, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში გარკვეული ტექსტი მოცემულია ლათინური ასოებით (გვ: 8; 18). სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი შრიფტით;
- ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოებისას დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე